განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაანგარიშების საკითხების დეტალურად გაწერის საჭიროებით. ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულ საგანგებო სიტუაციების მართვის სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში მომუშავე პირთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დადგენის საჭიროებით.

დღეისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაანგარიშების საკითხები მოცემულია ორ კანონში - „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში, რაც პრაქტიკაში იწვევს გარკვეულ სირთულეებს და ხშირ შემთხვევაში (მათ შორის, სასამართლოებში) არაერთგვაროვანი განმარტების საფუძველს იძლევა.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნამსახურების ვადის გამოთვლისას გაითვალისწინება როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ნამსახურობა, ისე საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაში - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სამხედრო, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო უშიშროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და პროკურატურის ორგანოებში სამსახური.

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის (24.06.2016 წლის მდგომარეობით; ძალადაკარგულია 01.08.2018) 56-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, 2015 წლის 10 იანვარს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურები/დანაყოფები. გასათვალისწინებელია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა უწყებრივი ქვემდებარეობა. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ჩამონათვალში არ ხვდება და ნამსახურების ვადის გამოთვლისას არ გაითვალისწინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში ნამსახურობა. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება,

რომ 2015 წლის 10 იანვრიდან 2016 წლის 2 სექტემბრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში მოსამსახურეებს საქმიანობა უწევდათ სპეციალური წოდების გარეშე.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებით, 2023 წლის 29 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს №04-10/8596 წინადადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველმა, სადაც მითითებულია რომ სახელმწიფო კომპენსაციის დაკარგვის რისკებისა და საკუთრების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია მიღებულ იქნეს ყველა საჭირო ზომა, რათა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ ყველა პირს, სახელმწიფო სტაჟში ჩაეთვალოთ 2005 – 2015 წლებში მათ მიერ შესრულებული საქმიანობა (როგორც უკვე დათხოვნილ პირებს, ისე მომავალში, ზღვრული ასაკის მიღწევის შემდგომ დათხოვნილ პირებს).

ამასთან, ზემოაღნიშნული ცვლილებების გარდა, პროექტი ითვალისწინებს გამოვლენილი ხარვეზებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად ცალკეული ხასიათის ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – შემოსავლების სამსახურიდან განთავისუფლებულ პირთათვის ცალკეული უწყებების ჩათვლის საკითხს, სპეციალური წოდებით ნამსახურობის ვადის ათვლასთან, კალენდარულ წელთა ნამსახურობის ვადის გამოანგარიშებასთან და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალში სპეციალური პროფესიული დაწესებულების არარსებობასთან მიმართებით.

„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, ხოლო ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან.

პრაქტიკაში სწორედ ზემოაღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს დავის საგანს, ვინაიდან, განმცხადებელთა უმრავლესობა მოითხოვს კომპენსაციის ვადის ათვლას სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან, მიუხედავად იმისა სამხედრო ან სპეციალური წოდებით დაინიშნა თუ არა იგი. კანონით არაა გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვა სავალდებულოა თუ არა მხოლოდ წოდებით და ასევე კანონში არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს სამხედრო მოსამსახურე, ვინაიდან, კანონი შეიქმნა მაშინ, როდესაც სამხედრო მოსამსახურე იმთავითვე გულისხმობდა, რომ პირს ჰქონდა წოდება და სწორედ ამიტომ არ საჭიროებდა რაიმე დაკონკრეტებას.

ერთ-ერთი პრობლემაა სწავლის პერიოდის კალენდარულ წელთა ნამსახურობაში ჩათვლის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ არსებული საკანონმდებლო ჩანაწერებით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველია სამხედრო ან სპეციალური წოდებით ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი, ხოლო სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი ითვლება მხოლოდ საერთო წელთა ნამსახურობაში, სასამართლო პრაქტიკა ჩამოყალიბდა იმდაგვარად, რომ 20 წლიანი კალენდარული წლის დაანგარიშებისას, ითვალისწინებს სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდს.

სწორედ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს სპეციალური წოდებით ნამსახურობის ვადის ათვლისა და კალენდარულ წელთა ნამსახურობის ვადის გამოანგარიშების საკითხები.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამხედრო წოდებისა და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირების კომპენსაციის გაანგარიშებისათვის დღეისათვის დადგენილი ფულადი სარგოს ოდენობა დადგენილი იქნა 2013 წელს, ხოლო კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალური ზღვარი - 2005 წელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მოხდეს არსებული ლიმიტების გადახედვა. ასევე, მიზანშეწონილია, გაიზარდოს ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დადგენილი ყოველთვიური კომპენსაციის ოდენობა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
კანონპროექტის მიღება აუცილებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაანგარიშების საკითხების ერთი საკანონმდებლო აქტით დარეგულირებისათვის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურის კომპენსაციის მიღებისთვის საჭირო ნამსახურების გაანგარიშებისას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) ნამსახურობის გათვალისწინებისათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – შემოსავლების სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთათვის ცალკეული უწყებების ჩათვლის საკითხის მოწესრიგებისათვის და კანონით დადგენილი კომპენსაციების ოდენობების გაზრდისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, დეტალურად გაიწერება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაანგარიშების საკითხები, შესაძლებელი გახდება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულ საგანგებო სიტუაციების მართვის სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში მუშაობის პერიოდი ჩაითვალოს ნამსახურობის ვადაში, გასწორდება პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები და გაიზრდება კანონით დადგენილი კომპენსაციების ოდენობები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით ერთი საკანონმდებლო აქტით რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაანგარიშების საკითხები. კერძოდ, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებული იქნება ყველა ჩანაწერი, რაც დაკავშირებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფასთან.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება წარმოეშობათ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან (მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალებიდან), საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული

სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულ საგანგებო სიტუაციების მართვის სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურიდან/დანაყოფიდან დათხოვნილ პირებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა უწყებრივი ქვემდებარეობა, თუმცა არსებული რედაქციით, არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშებისას ყველა უწყებაში მუშაობის პერიოდი. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის არსებული რედაქციით გათვალისწინებულია მხოლოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 10 იანვრამდე პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურები/დანაყოფები ფუნქციონირებდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში. სწორედ აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად და მოსამსახურეთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება ჩანაწერი, რომლის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისათვის წელთა ნამსახურობის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულ საგანგებო სიტუაციების მართვის სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) 2005 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 10 იანვრამდე მუშაობის პერიოდი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულ საგანგებო სიტუაციების მართვის სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში მუშაობის პერიოდი კალენდარულ წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლებათ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან დათხოვნის დღის ჩათვლით, მიუხედავად სამხედრო ან სპეციალური წოდებით ნამსახურობის ვადისა.

რაც შეეხება აღნიშნულ პირთათვის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების საკითხის, მისი დათვლა მოხდება ნამსახურობის პერიოდში ბოლოს მიღებული სამხედრო ან სპეციალური წოდების გათვალისწინებით ნამსახურობის წლებზე ნამრავლით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2015 წლის 10 იანვრიდან 2016 წლის 2 სექტემბრამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში მოსამსახურეებს საქმიანობა უწევდათ სპეციალური წოდების გარეშე, შესაბამისად მიზანშეწონილია, ერთიანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, აღნიშნული პერიოდი ჩაითვალოს სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშების დროს კალენდარულ წელთა ნამსახურობაში.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – შემოსავლების სამსახურიდან განთავისუფლებულ პირთათვის ცალკეული უწყებების ჩათვლის საკითხი. კერძოდ, კანონის არსებული რედაქციით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან

განთავისუფლებულ პირს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა ეკარგება/წელთა ნამსახურობაში არ ეთვლება ცალკეული უწყებები, მაგალითად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და საქართველოს დაზვერვის სამსახურში ნამსახურობა, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – შემოსავლების სამსახურიდან დათხოვნილ პირს - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში ნამსახურობა.

წარმოდგენილი პროექტით, ასევე ზუსტდება კანონის მე-7 მუხლში კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალური ზღვარის გავრცელების პირობა და კეთდება კონკრეტული ნორმების ჩამონათვალი, ვისზეც უნდა გავრცელდეს კანონით დადგენილი კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალური გასაცემი ოდენობა, ვინაიდან, სასამართლომ დაამკვიდრა პრაქტიკა და მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა, რომელიც ადგენს გასაცემი კომპენსაციის ზღვარს, წარმოადგენს ზოგადი ხასიათის ნორმას და იგი არ უნდა გავრცელდეს კანონის დანარჩენ მუხლებზე. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მაქსიმალურ ზღვართან მიმართებაში საკითხი უნდა გადაწყვიტოს არა ზოგადი, არამედ სპეციალური ნორმების საფუძველზე, რომლებიც კონკრეტულად განსაზღვრავენ ამ კანონით მოსარგებლე თითოეული სუბიექტების მიმართ კომპენსაციის ოდენობას. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული პრაქტიკა დადგენილია კანონის მე-20 მუხლთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოს მოსამართლის (ყოფილი მოსამართლის) გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრთა კომპენსაციით უზრუნველყოფის საფუძვლებს. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც დაკავშირებულია საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ოჯახის წევრებზე გასაცემ კომპენსაციის ოდენობასთან, კანონის მე-7 მუხლით დადგენილი კომპენსაციის მაქსიმალური ზღვარის რეგულირების მიღმა დატოვების თვალსაზრისით, კანონის სხვა მუხლებთან (სუბიექტებთან) მიმართებით წარმოშობს გარკვეულ რისკებს, რაც დაუშვებელია.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შეეხება ასევე საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურიდან, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ პირებს, რომლებსაც წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლებათ კანონით განსაზღვრულ სამსახურებში მხოლოდ სამხედრო ან სპეციალური წოდებით ნამსახურობა, რაც გამორიცხავს სამხედრო ან სპეციალური წოდების გარეშე (ე.წ. სამოქალაქო სტაჟი) სამსახურის გავლის პერიოდით მათთვის კალენდარული და საერთო წელთა ნამსახურობის შევსებას, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა ერთნაირ პირობებში ჩააყენებს ამ კანონით მოსარგებლე სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე სუბიექტებს და ასევე შეზღუდავს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სახელმწიფო გასაცემლის მაძიებლებს შორის მუდმივი დავის საგანს. გარდა ამისა, კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტში კეთდება დაზუსტება და „სამხედრო და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს ემატება სიტყვები „სპეციალური წოდების მქონე“, ვინაიდან, მითითებულ კანონში გათვალისწინებული არიან, როგორც სამხედრო, ასევე სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებიც.

წარმოდგენილი პროექტით კანონის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის შემდეგ ემატება მე-11 პუნქტი, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემიდან დათხოვნილ პირს საერთო წელთა ნამსახურობაში, მხოლოდ კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისათვის და არა კალენდარულ წელთა ნამსახურობის შევსებისათვის, ჩაეთვლება სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი, რომელსაც არ ფარავს სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურობა, თუ სწავლის პერიოდში პირს შეჩერებული არ

ჰქონდა სტუდენტის აქტიური სტატუსი. 6 წლის ზემოთ სწავლის 1 წელი ჩაითვლება 6 თვედ. საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება აგრეთვე განსაკუთრებულ პირობებში სამსახურის პერიოდი შეღავათიანი გაანგარიშებით.

კანონის მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ ასევე ემატება მე-12 პუნქტი, რომლის მიღების საჭიროება წარმოშვა არსებულმა პრაქტიკამ. კერძოდ, არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი კონკრეტული უწყების ხაზით კომპენსაციის დანიშვნის შემთხვევაში, პირები მოითხოვენ ამ უწყებიდან კომპენსაციის დანიშვნის შემდეგ სხვა ძალოვან სტრუქტურაში ნამსახურები პერიოდების ჩათვლას, ისეთ პირობებში, როდესაც სხვა უწყების ხაზით ვერ იპოვებენ სახელმწიფო გასაცემელზე უფლებას, მაგალითად, არამართლზომიერი ქმედების ჩადენის ან სისხლის სამართლის კოდექსით ჩადენილი დანაშაულის საფუძვლით სამსახურიდან დათხოვნის ან/და სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შემთხვევებში. ასევე არსებობს წოდებით ჩამოქვეითების შემთხვევები, რა დროსაც, გასაცემლის მაძიებლები მოითხოვენ სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამოქვეითებამდე არსებული სამხედრო ან სპეციალური წოდებით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას, როგორც გასაცემლის ოდენობის გაანგარიშების უპირატესი პირობის თვალსაზრისით. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ხარვეზი მოწესრიგდეს კანონით, რათა სახელმწიფო გასაცემლის ადმინისტრირების პროცესის წარმართვისას არ დარჩეს გარკვეული ბუნდოვანებები.

კანონის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს ემატება ახალი დათქმა, რომლის თანახმად, კომპენსაციის დანიშვნის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების მიერ მომზადებული წარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება სააგენტოს. ამ შემთხვევაშიც, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ აღნიშნული პირობა განისაზღვროს კანონით, ვინაიდან, კანონით განსაზღვრული უფლებების რეალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, კომპენსაციის დასანიშნად საჭირო ნამსახურობის წლების (სტაჟები) დაანგარიშება და შესაბამის დოკუმენტ(ებ)ში სათანადო ინფორმაციის ასახვა გარკვეულწილად მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, რომელიც გააჩნიათ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებს. გარდა ამისა, აღნიშნული პირობის შემოღება დამატებით გააჩენს ერთგვარი დაზღვევის მექანიზმს, რაც უზრუნველყოფს კანონით განსაზღვრული პირობების და უფლებების დაცვას.

წარმოდგენილი პროექტით გარკვეული ცვლილებები შედის კანონის 28-ე მუხლში, რომელიც ასევე მოაწესრიგებს სახელმწიფო გასაცემლების გადაანგარიშებისა და ავტომატურ გადაანგარიშებასთან დაკავშირებულ საკითხებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირის მიერ შესაძლებლობის შეზღუდვის განსხვავებული ხარისხის (სტატუსი) დამადასტურებელი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერის წარმოდგენისას, კანონით არ იყო განსაზღვრული კომპენსაციის გადაანგარიშების პირობა, რის გამოც, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მოეხდინა ადრე დანიშნული გასაცემლის შეწყვეტა და ახალი სტატუსის საფუძველზე კომპენსაციის ხელახლა დანიშვნა. მსგავსი რეგულაცია აქამდე არ იყო განსაზღვრული კანონით, რაც იწვევდა გაუგებრობებს და აფერხებდა ადმინისტრირების პროცესს. ამასთან, აღნიშნულ ნორმაში, აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ პენსიის ოდენობის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილების და ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთათვის 65 წლის ასაკის მიღწევის შემთხვევაში ავტომატურ გადაანგარიშებაზე, ხოლო ე.წ. კოეფიციენტების ცვლილებაზე საუბარი არ იყო, მათ შორის, მაქსიმალურ ზღვართან მიმართებაშიც. შესაბამისად, დადგა საჭიროება სათანადო ცვლილებები განხორციელდეს კანონის 28-ე მუხლშიც.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ასევე კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც არეგულირებს ზედმეტად დარიცხული კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დაბრუნების საკითხებს. კერძოდ, აღნიშნული ნორმა ზედმეტად დარიცხული კომპენსაციის

დაკავების პირობას განიხილავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია მიმღების მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით. ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკაში არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო გასაცემლის მიმღები არ ასრულებს ამავე კანონის 25-ე მუხლით დადგენილ ვალდებულებას, რაც გულისხმობს კომპეტენტური ორგანოს ინფორმირებას იმ გარემოების დადგომის შესახებ, რომელსაც თან სდევს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეწყვეტა. მაგალითად, საჯარო საქმიანობის განხორციელების, შესაძლებლობის სტატუსის დაკარგვის, შესაბამისად, ვეტერანის სტატუსის დაკარგვის და სხვა შემთხვევებში. შესაბამისად, დადგა საჭიროება, რომ გარდა არასწორი მონაცემების წარდგენისა, ნორმაში ასევე დაემატოს „ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევა“, რაც კომპეტენტურ ორგანოს მისცემს შესაძლებლობას დაიცვას კანონით განსაზღვრული მიზნები და ინტერესები.

გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტით ზუსტდება სპეციალური წოდებით ნამსახურობის ვადის ათვლასა და კალენდარულ წელთა ნამსახურობის ვადის გამოანგარიშებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, კანონის მოქმედება გავრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემიდან დათხოვნილ იმ სამხედრო ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირზე, რომელსაც აქვს სამხედრო წოდებით ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურობის არანაკლებ 20 კალენდარული წელი, ხოლო კალენდარულ წელთა ნამსახურობის ვადის ათვლა დაიწყება სამხედრო ან სპეციალური წოდებით დანიშვნის დღიდან და დასრულდება სამხედრო ან სპეციალური წოდებით თანამდებობიდან გათავისუფლების დღეს. საერთო წელთა ნამსახურობაში ჩაითვლება სამოქალაქო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდი, რომელსაც არ ფარავს სამხედრო ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურობა, თუ სწავლის პერიოდში პირს შეჩერებული არ აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

„სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია გარკვეული შეზღუდვები სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნასთან. კერძოდ, კანონის, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია არ დაენიშნება სასამართლო წესით სამხედრო ან სპეციალურ წოდებაჩამორთმეულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი გამართლებული ან რეაბილიტირებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვინაიდან, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი აღარ გავრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებზე, ხოლო ზემოაღნიშნული ჩანაწერის მსგავსი დათქმას არ ითვალისწინებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ახალი რეგულაციების გაწერისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებზე კვლავ გავრცელდეს არსებული შეზღუდვები.

წარმოდგენილი პროექტით, ასევე გათვალისწინებულია ცვლილება კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, რომელიც განმარტავს საჯარო საქმიანობას და ასევე ადგენს გამონაკლისებს. კერძოდ, საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა ისეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებს და სხვა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნულ ჩანაწერში არ გვხვდება სპეციალური პროფესიული დაწესებულება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაწესებულების საქმიანობაც მჭიდროდაა დაკავშირებული ზემოთ ჩამოთვლილ დაწესებულებათა საქმიანობასთან. სწორედ

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, კანონპროექტით, საჯარო საქმიანობად ასევე არ ჩაითვლება სპეციალურ პროფესიულ დაწესებულებაში საქმიანობა.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია კანონით დადგენილი კომპენსაციების ოდენობების გაზრდის საკითხი. კერძოდ, სამხედრო წოდებისა და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირების კომპენსაციის გაანგარიშებისათვის დღეისათვის დადგენილი ფულადი სარგოს ოდენობა დადგენილი იქნა 2013 წელს, ხოლო კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალური ზღვარი - 2005 წელს. რაც შეეხება ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დადგენილი ყოველთვიური კომპენსაციის ოდენობას, აღნიშნული ოდენობა განსაზღვრულია 2015 წლიდან.

პროექტის თანახმად, იზრდება სამხედრო წოდებისა და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირების კომპენსაციის გაანგარიშებისათვის დღეისათვის დადგენილი ფულადი სარგოს ოდენობა შემდეგი სახით:

65 წლის ან 65 წელზე მეტი ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში, პენსიის ოდენობას დაემატება:
ა) საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურისთვის (გარდა ოფიცრისა) ან უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პირისთვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 5 ლარზე ნამრავლი, ნაცვლად 2 ლარისა;
ბ) უმცროსი ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე პირისთვის ან საშუალო სპეციალური წოდების მქონე პირისთვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 10 ლარზე ნამრავლი, ნაცვლად 5 ლარისა;
გ) უფროსი ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე პირისთვის ან უფროსი სპეციალური წოდების მქონე პირისთვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 15 ლარზე ნამრავლი, ნაცვლად 10 ლარისა;
დ) უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე პირისთვის ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე პირისთვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 25 ლარზე ნამრავლი, ნაცვლად 15 ლარისა.

ანალოგიური პროპორციით იცვლება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურის კომპენსაციის გაანგარიშების ოდენობა.

რაც შეეხება კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალურ ზღვარს, დღეს არსებული 560 ლარიანი ლიმიტი იზრდება და განისაზღვრება 1000 ლარით, ხოლო ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დადგენილი ყოველთვიური კომპენსაციის ოდენობა 1000 ლარის ნაცვლად იქნება 1200 ლარი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):
ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:
კანონი (გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტის, მე-4 პუნქტის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტების, მე-10–მე-12 პუნქტებისა), ამოქმედდება 2024 წლის 1 მაისიდან. ვინაიდან, კანონის ამოქმედება გავლენას იქონიებს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, 2024 წლის საბიუჯეტო პარამეტრების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ნორმების ამოქმედება 2024 წლის 1 მაისიდან, ხოლო მომდევნო წლებში საჭირო ხარჯები გათვალისწინებული იქნება შესაბამისი წლის

ბიუჯეტების დაგეგმვისას. რაც შეეხება იმ ნორმებს (კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, მე-4 პუნქტის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტები და მე-10–მე-12 პუნქტები), რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო კომპენსაციის ადმინისტრირების საკითხს და არაა დაკავშირებული სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, მიზანშეწონილია მათი ამოქმედება კანონის გამოქვეყნებისთანავე. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):
კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან კანონის ამოქმედების შემდგომ სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშებისას გასათვალისწინებელი იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებულ საგანგებო სიტუაციების მართვის სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში (მიუხედავად მათი სტატუსისა და სახელწოდებისა) 2005 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 10 იანვრამდე მუშაობის პერიოდი, 2015 წლის 10 იანვრიდან 2016 წლის 2 სექტემბრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში სპეციალური წოდების გარეშე სამსახური და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთათვის სხვა უწყებებში მუშაობის ჩათვლის საკითხი. სახელმწიფო კომპენსაციის გაანგარიშებისას ასეთი პირის კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებული იქნება ნამსახურებ წლებსა და მინიჭებულ სახელმწიფო ან სპეციალურ წოდებაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოქმედი მოსამსახურეებიდან 1762 მოსამსახურე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების, თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში მსახურობდა. ცვლილების შედეგად 1762 მოსამსახურიდან 271 მოსამსახურეს შეუსრულდება არანაკლებ 20 წელი და მეტი ნამსახურობა, რაც თავის მხრივ გახდება კომპენსაციის მიღების უფლების წარმოშობის საფუძველი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო ან/და სამაშველო სამსახურებში/დანაყოფებში

ნამსახურების პერიოდის წოდებით ნამსახურობაში ჩათვლის პირობებში, 20 წელი და მეტი ნამსახურობა გაუხდება 199 პირს, შესაბამისად, მათ დაენიშნებათ კომპენსაცია ნამსახურობის ვადის გასვლის გამო, ხოლო 61 პირს გადაუანგარიშდება და გაეზრდება კომპენსაციის ოდენობა.

დათხოვნილი 260 პირისგან 36 პირი უკვე 65 წელზე მეტი ასაკისაა, ხოლო 224 პირს ჯერ 65 წელი არ შესრულებია. 2023 წლის მდგომარეობით 65 წლამდე ასაკის პირების კომპენსაცია წელიწადში შეადგენს 744,8 ათას ლარს, ხოლო 65 წელს ზევით - 30,8 ათას ლარს. მითითებული 224 პირის მიერ 65 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ხარჯვითი ნაწილი სავარაუდოდ განისაზღვრება - 262 908 ლარით.

სახელმწიფოს მხრიდან ასევე ახალ ხარჯებს გამოიწვევს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემიდან დათხოვნილ იმ სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის, რომლებსაც კალენდარულ წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში სამხედრო წოდებით ან სახელმწიფო სპეციალური წოდებით ნამსახურობის პერიოდი. ამასთან, ამ ბენეფიციართა მიერ კომპენსაციის ოდენობა დამოკიდებული იქნება ნამსახურებ წლებსა და სახელმწიფო წოდებაზე.

